

# წიგნობის მაღლი უბაზოთ!



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გეზოთი №2(16) 2012 წ. 16-31 იანვარი ფანი 50 თოთარი



სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა გან-

მანათლებლო და სულის წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ.

## წიგნობინდა და წიგნობინდელუბი



IV-V-VIII გვერდები

## ღია დიალოგი



მესამე გვერდი

## „წვენ დავუბრდებით“



მეშვიდე გვერდი

## ფოტოგურნიკი

მეშვიდე გვერდი

# თათბირი



## 17 იანვარი, 2012 წელი

საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს უძღვებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი.

თათბირზე საგარეო მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების

რწმუნებულებმა ისაუბრეს ადგილებზე არსებულ მდგომარეობაზე, მათგან გამოყვეს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა მოგვარებას 2012 წელს უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც საგარეო მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილმა აღნიშნა, თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში დიდი პასუხისმგებლობით უნდა ჩატარდეს სასოფლო კრებები, გაიმართოს სჯაბაასი, მოსმენილ იქნეს კრების თითოეული მონაწილის წინადადება, დაყენებული საკითხი და ერთობლივი გადაწყვეტილებით იქნეს მიხნეული ესა თუ ის საკითხი პრიორიტეტად.



## 24 იანვარი, 2012 წელი

სამშაბათის ტრადიციულ თათბირზე განხილულ იქნა მოსახლეობაში 30 ლარიანი ვაუჩერის დარიგების მიმდინარეობა. როგორც გაირკვა, მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში დამთავრდა ეს პროცესი, გამოწვევისა და დაჯილდოების სადაც ორიოდე დღეში დამთავრდება.

პატარა ჩაილურის რწმუნებულის დღეინაშვილის გაკეთებულ ინფორმაციას – სოფელს მგლები შემოეწვივნენ და ადამიანებს დღისითაც არ ვრიდებიანო,

რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმაც აღნიშნა ანალოგიური ფაქტები თავიანთი ერთეულის ტერიტორიაზე.

ბოგდანოვის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა მ. ობოლაშვილმა რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალზე პირუტყვის გადასარეკი ტრაფარეტის დადგმაში შუამდგომლობა სთხოვა მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს საქართველოს გზებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინაშე დასაყენებლად.



# პრეს-რელიზი

## ნაპირსამაგრი სამუშაოების მონახულება

11 იანვარი 2012

საგარეო მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ჩალათაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა და გამგებლის მოადგილემ შალვა ჯაბადარმა მონახულეს ქ. საგარეოში სასმელი წყლის სათაგის დამცავი ნაგებობა (გაბონი), რომელიც საიმედოდ დაცავს ქალაქის სათაგის გაზაფხულის წვიმების პერიოდში მოსალოდნელი მეწყრისა და ნიაღვრისაგან.

მათ ასევე მონახულეს სოფლების ანთოკისა და თოხლიაურის ხეობის მიმდინარე ნაპირსამაგრი სამუშაოები.



## ნარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება

14 იანვარი 2012

14 იანვარს, ძველით ახალ წელს, საგარეო მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის ქსაგარეოს ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა კაფე-სადამო, სადაც თავი მოიყარა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 100-მდე აქტიურმა ახალგაზრდამ.

ღონისძიებაზე მათ მიერ შესრულებულ იქნა სხვადასხვა მხატვრული ნიმუშები.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდული სამსახურის მიერ, თითოეულ მონაწილეს გადაეცა ფასიანი საჩუქრები, ხოლო სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგარეოს მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა გულიკაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ილია ჭიაურელი, მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი და გამგებლის მოადგილე გონა ჩერქეზიშვილი, მათ ახალგაზრდებს მიულოცეს ძველით ახალი წელი და სამომავლოდ წარმატებები უსურვეს.

საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური



20 იანვარს საგარეჯოს ახალგაზრდულ ცენტრში საქართველოს პარლამენტის წევრები: უმრავლესობის წარმომადგენელი ნუგზარ წიკლაური, პარლამენტის შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე, საქართველოს რეგიონალური მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მამუკა ვაჭაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი მატკავა საგარეჯოს ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ საგარეჯო-ელეთთან ისაუბრეს გასულ, 2011 წელს შესრულებულ იმ ამოცანებზე, რომელიც ქვეყნის მთავრობამ და ხელისუფლებამ დასახა ქვეყნის რეგიონალური და ეკონომიკური განვითარების ხაზით. საინტერესო იყო ბ-ნ მამუკა ვაჭაძის მიერ მოწოდებული ვრცელი ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განხორციელებული პროექტების შესახებ. ასევე, დამსწრე საზოგადოება ინტერესით უსმენდა ბ-ნ ირაკლი მატკავას მიერ გაკეთებულ ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთავრობისა და ხელისუფლების მიერ გადადგმული იმ გაბედული ნაბიჯების შესახებ, რომლებმაც გარკვეული წარმატებები მოუტანა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მსოფლიო ბაზარზე გასვლით.

როგორც ბ-ნმა მამუკა ვაჭაძემ აღნიშნა, გასული, 2011 წელი იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ ამ წელს მიღებულია საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმა. ამავე წელს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის, რეგიონალური რეფორმების განვითარების მხარდაჭერას საქართველოში განსახორციელებელი პროგრამის დაფინანსების შესახებ. გასული წლის ქვეყნის პრიორიტეტული საკითხების მოსაგვარებლად დაფინანსება პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ერთი მილიარდ 510 მილიონ ლარს შეადგენდა, 50 მილიონი ლარით იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებული, რეგიონალური პროექტების განსახორციელებელი ფონდი კი 60 მილიონი ლარით. 2011 წელს საქართველოში აშენდა ოთხი გვირაბი, 8 ხიდი, 29 კმ. გზა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ გვირაბს, 39 ხიდს, 520 კმ. გზას. აშენდა მულტიფუნქციური (მგზავრთა დასასვენებელი ადგილები) მომსახურების კომპლექსები. მოხდა მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის,

# ღია დიალოგი ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის

ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზების მოწესრიგება, გაშენდა ილიას ტბა (ყვარელში), მოხდა დაბა საირმის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რიკოთის უღელტეხილზე არსებული გვირაბის რეაბილიტაცია, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები მთელ რიგ მდინარეებზე საქართველოს მასშტაბით, გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი - სასმელი წყლის ქსელის, მთლიანი სისტემების ამოცვლისა და რეაბილიტაციის ხარჯზე.



როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2012 წელს უფრო მეტი, მასშტაბური პროგრამებია განსახორციელებელი რესპუბლიკაში. მთლიანად გადაიჭრება მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემები, კეთილმოწყობილი სახლები აშენდება და კიდევაც აშენდება იძულებით გადაადგილებულ პირთა დასამკვიდრებლად მთელ რიგ ქალაქებში. 2012 წელს დაგეგმილია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომლის მშენებლობაც 775 მილიონი ლარი დაჯდება. ამ ხაზით კი ევროპა ჩინეთს დაუკავშირდება. პროექტი 2012 წელსვე დასრულდება. ასევე დაიწყება საავტომობილო გზების მშენებლობა რუისი-გარა-გორი, გომი-რიკოთი, ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედია, სამტრედია-გრიგოლეთი, ქობულეთის შემოვლითი გზა, თბილისი-რუსთავი, მნიშვნელოვანი ყურადღება ექნება დათმობილი მიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის პროექტებს და 2012 წელს განხორციელდება ლილო-საგარეჯო ცალმხრივი მოძრაობის გზის მშენებლობა.

ბ-ნმა მამუკა ვაჭაძემ ასევე ისაუბრა საქართველოს რეგიონალური მართვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საინვესტიციო სამუშაოებზე და ამასთან აღნიშნა, რომ თუ 2009 წელს 23900 კაცი იყო დასაქმებული ამ კუთხით, 2012 წელს 59500 კაცი იქნება დასაქმებული.

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ირაკლი მატკავამ აღნიშნა, 2011 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობამ 9 მილიარდ ლარს გადააჭარბა, 40 პროცენტით გაიზარდა საქართველოდან სხვადასხვა სახის პროდუქტების გატანა, ასევე, სასუქების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სხვა. პირველად გავიდა ჩვენი ქვეყნიდან ელექტრონაწარმი, რთული მაღალტექნიკური პროდუქცია. მიმდინარე წლიდან ამ პროდუქციის მოცულობა გაიზარდება. მთავრი პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო და თანაც წარმატებული, - თქვა ბ-ნმა ირაკლიმ, - 2011 წლის დეკემბრიდან საქართველომ ევრობაზარზე გასასვლელად დაიწყო მოლაპარაკებები, 2012 წელს კი ჩვენ ევროკავშირის ბაზარზე გზა გვექნება გასწვრივ ნებისმიერი პროდუქტის გასატანად. 2012 წელს 88 სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულება დაიდება სხვადასხვა ქვეყნებში ქართული პროდუქტის გასატანად. მაგრამ, მთავარი კითხვა და მთავარი ამოცანაა - რამდენი სამუშაო

ადგილი შეიქმნება?! - აი, ამოსავალი კითხვა, რა პროექტზე მუშაობა და განხორციელება არ უნდა დავიწყოთ ქვეყანაში, - აღნიშნა ბ-ნმა ირაკლი მატკავამ.

ღია დიალოგში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები ნუგზარ წიკლაური და გიორგი გოდაბრელიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი საგარეჯოდან ზაზა გულიკაშვილი.

საქართველოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა ამ შეხვედრაზე დააყენეს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც აუცილებელი ხდება ორივე სამინისტროსთან კონსულტაციები. საკითხი შეეხო მუნიციპალიტეტში წლების წინ იჯარით გაცემულ მიწებთან დაკავშირებული პრობლემებს, გართულებულ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასა და ელექტროდისტრიბუციის მოუქნელი მენეჯმენტის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს. ამასთან, მთელი რიგი ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებმა ითხოვეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული იმ პროექტების დაფინანსებაში მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს წყალდიდობების შემთხვევაში სოფლებისათვის მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებას.

ღია დიალოგში მონაწილე ხელისუფლების წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს და დამსწრე საზოგადოებას დახმარება აღუთქვეს მათ მიერ დაყენებული საკითხების სათანადოდ შესწავლასა და შემდგომში მოგვარების საქმეში.







# ინტერნეტში მოქიზებული აზრები

## 30 იანვარს ბარაკ ობამა მიხეილ სააკაშვილს შეხვდება



როგორც „თეთრი სახლის“ ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა 30 იანვარს, თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიიღებს.

„ორი პრეზიდენტი განიხილავს საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ურთიერთობის გაძლიერებას ვაჭრობის, ტურიზმის, ენერჯეტიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებში. პრეზიდენტი ობამა ხაზს გაუსვამს საქართველოსთან ჩვენი სამხედრო თანამშრომლობის, მათ შორის ავღანეთის საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში საქართველოს კონტრიბუციის მნიშვნელობას“, - წერს თეთრი სახლის ვებ-გვერდი.

აქვე აღნიშნულია, რომ ობამა კიდევ ერთხელ დაადასტურებს აშშ-ის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

„პრეზიდენტი ასევე მოელის, განიხილოს მომავალი არჩევნები საქართველოში და რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს გარდაქმნას სტაბილურ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ“, - წერია ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციაში.

ოდნოელი გოგონა კაჯოლ ხანი მხოლოდ მის ოჯახში მცხოვრებ 6 კობრასთან მეგობრობს. ის მიუღეს დღეს თავის საყვარელ ქვეწარმავლებთან ერთად ატარებს.

კაჯოლი სოფელ გატამპურში მშობლებთან, 6 დასთან, 2 ძმასთან და ექვს კობრასთან ერთად ცხოვრობს. ხანების ოჯახი წლების განმავლობაში გველების მოთვინიერებით ირჩენდა თავს და კაჯოლიც ამ პროფესიის დაუფლებაზე ოცნებობს.

გოგონას მამა, 55 წლის ტაჯ მუჰამედი უკვე 35 წელია გველებზე მონადირეა. ის ცდილობდა საკუთარი ცოდნა ვაჟისთვის ვიდეოსტვის გადაეცა, თუმცა მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ ამ საქმისთვის საუკეთესო თვისებები სწორედ მის ქალიშვილ კაჯოლს ჰქონდა. კაჯოლი სკოლაში სიარულს, ქვეწარმავლებთან თამაშს ამჯობინებს.

მართალია ქვეწარმავლებმა ის არაერთხელ დაკბინეს, მაგრამ ამას სულაც არ გაუხელებია გოგონას სიყვარული. ნაკბენებს კაჯოლის მამა ტრადიციული ოჯახური საშუალებებით მკურნალობს - ნაკბენს წმენდს და შემდეგ რაღაც ფუტკრის ფიჭვისმაგვარს უსვამს.

გასულ კვირას მსოფლიოში რამდენიმე საზღვაო კატასტროფა მოხდა, რომელთაგან ყველაზე ხმაურიანი საოკეანო ლაინერ „Costa Concordia“-ს დაღუპვა იყო ტირენიის ზღვაში, კუნძულ ჯილიოსთან. კურნალისტები ამ შემთხვევას ლეგენდარული ტიტანიკის დაღუპვასაც კი ადარებენ.

„Costa Concordia“ მეჩხზე შეჯდა და ჩაიძირა. როგორც იკვეთება, კატასტროფის მიზეზი გემის კაპიტნის უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, რომელმაც კურსი შეცვალა და ძალიან ახლოს გაიარა ხმელეთთან, სადაც მისი მეგობარი, გადამდგარი იტალიელი აღმირალი ცხოვრობდა და სურდა მას სალუტით მისაღმებოდა. მეორე ვერსიით კი კაპიტანი ერთ მოღვაწეულ გოგონასთან მისაღმებას აპირებდა.

გემზე, სადაც 4200-ზე მეტი ტურისტი იმყოფებოდა, 11 დაიღუპა, 25 კი დაკარგულია. კაპიტანმა, როგორც ზოგიერთი საინფორმაციო წყარო ამტკიცებს, ერთ-ერთმა პირველმა მიატოვა გემი, რითაც მთავარი საზღვაო კანონი დაარღვია - მხოლოდ მას შემდეგ დაეტოვებინა გემი, როცა უკანასკნელი მგზავრი დატოვებდა მას. ქვეყნდება პორტის უფროსისა და კაპიტნის საუბრის აუდიოჩანაწერიც, სადაც პორტის უფროსი მოითხოვს კაპიტნისაგან დაბრუნდეს გემზე და იქიდან უხელმძღვანელოს მგზავრებისა და ეკიპაჟის გადარჩენის სამუშაოებს. თუმცა არის სხვა ვერსიებიც, რომელიც კატეგორიულად უარყოფს კაპიტნის ამგვარ ქმედებას.

ბოლო ინფორმაციით დაკარგული ადამიანების ძებნა ძნელდება იმის გამო, რომ გემი ჯერ კიდევ მოძრაობს და შესაძლოა ქვეშ მოიყოლოს მასშველები.

მეორე კატასტროფა თავისი მასშტაბებით ჩამოუვარდება კონკორდიას, მა-

## საზღვაო კატასტროფები...



გრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ გემზე ქართველი მეზღვაურები იმყოფებოდნენ და ორი მათგანი დაიღუპა. გემმა, რომელსაც აზერბაიჯანელი კაპიტანი ჰყავდა ალბანეთის ნაპირებთან განიცადა კატასტროფა, რასაც რამდენიმე მეზღვაური, მათ შორის კაპიტანიც შეეწირა.

და კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ზღვასა და მეზღვაურებს უკავშირდება, თუმცა წლინახევრის წინ დაიწყო, გასულ კვირას მშვიდობიანად დასრულდა. ლაპარაკია სომალელი მეკობრეების

მიერ დატყვევებულ ქართველ და თურქ მეზღვაურებზე.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა შეაქო თანამშრომლობა თურქეთს და საქართველოს შორის იმ ძალისხმევის გამო, რომელიც მათ გემის ეკიპაჟის გადარჩენის საქმეში გაიღეს. ერდოღანმა ეს პარასკევს დღით ათათურქის აეროპორტში დაბრუნებული ეკიპაჟის დახვედრის ცერემონიაზე განაცხადა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა.

სავაჭრო ხომალდი OLIB G მალტის დროშით, რომლის ეკიპაჟიც 18, აქედან 15 ქართველისა და 3 თურქისგან შედგებოდა, სომალელმა მეკობრეებმა ინდოეთის ოკეანეში 2010 წლის 8 სექტემბერს შეიპყრეს. მას შემდეგ, თურქეთი და საქართველო ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ მათი მოქალაქეების დახსნას, მაგრამ მოლაპარაკებები მეკობრეებთან მძევლების გათავისუფლებაზე წელიწადნახევარზე მეტხანს გაგრძელდა. ამ საქმეში თურქეთთან სომალის მთავრობაც მჭიდროდ თანამშრომლობდა.

ისინი 8 იანვარს გაათავისუფლეს და ოთხშაბათს მომბასაში, კენიის ზღვისპირა ქალაქში ჩავიდნენ; შემდეგ თურქეთში გაემგზავრნენ.

როგორც სომალის 8 იანვრის ანგარიშის ერთ-ერთ პუნქტშია ნათქვამი, ხომალდი მეკობრეებმა 3 მილიონი დოლარის მიღების შემდეგ გაათავისუფლეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ეკიპაჟის დახვედრის ცერემონიადას დაესწრო და ამის შემდეგ ერდოღანს პირისპირ შეხვდა.

## კობრებთან მოთამაშე გოგონა



„კარგად ვერთობი კობრებთან ერთად. მტკივა, როდესაც მკბენენ, მაგრამ ეს ჩემი ბრალია. ხშირად თამაშის დროს ვალიზიანებ ხოლმე“, - აცხადებს კაჯოლ ხანი. ერთადერთი, ვისაც გოგონას გატაცება არ მოსწონს, მისი დედა სალმა ბანია.

„მინდა, თავი დაანებოს კობრებთან თამაშს და სხვა ბავშვების მსგავსად სკოლაში იაროს. ვცადე, მისთვის განათლება სახლში მიმეცა, მაგრამ ყურადღებას ვეღარ იკრებს“, - აცხადებს სალმა.

კაჯოლ ხანი თან დაჰყვება მამას და ეხმარება უზარმაზარი კობრების დაჭერაში. ის არც კი ცდილობს თავი აარილოს კობრის კბენას და ვიდუკამერის წინ ცდილობს არაფრად ჩააგდოს მისგან მიყენებული იარები.

მომზადებულია odditycentral.com-ის მიხედვით.

გვერდი მოამზადა  
**ზურაბ აბულაშვილმა**

# „ჩვენს ღაპბერღებით“...

**მთვარისა ბალათიშვილი**  
599 97-76-40

საქველმოქმედო აქციები დღეს მრავლად ტარდება, ვერავის ვერაფრით გააკვირვებ. უბრალოდ ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა თვითონ მოიფიქრეს და გადაწყვეტილებაც თავად მიიღეს იმის შესახებ, რომ სათნოების სახლი №2-ის ბენეფიციარებისთვის ტკბილეული და საახალწლო საჩუქრები გაემზადებინათ. ყველაზე საინტერესო კი ის აღმოჩნდა, სკოლის ყველა კლასი აქტიურად ჩაერ-

თო ამ პროცესში და ამ ყველაფერს დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ. მათი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ ამ ერთ დღეს მოხუცებს ვგრძნოთ პატარების ყურადღება და სიხარული მიენიჭებინათ მათთვის. მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქალაქო კლუბის წარმომადგენლებმა გამზადებული ამანათები საკუთარი ხელით გადაუტანეს მოხუცებს. ღონისძიება საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს



მარინა ურდულაშვილის მუსიკალური სტუდიის ბავშვებმაც. მათ თავიანთი წვრილა ხმით სულ სხვა ხიბლი შეიტანეს მოხუცთა ცხოვრებაში. იცეკვეს, იმღერეს და მზრუნველობამოკლებულ ადამიანებს 13 იანვარს ერთი ღამეში დღე აჩუქეს. ჩვენ ვხედავდით მათ ცრემლიან თვალებს და ვგრძნობდით, რომ მცირე ხანს მაინც დაგვიწყვეთ ცხოვრებისეული პრობლემები და პატარა სიამოვნება მივანიჭეთ. კონცერტის დამთავრების შემდეგ სიტყვით მოგვმართეს დავაწლ-მოსილმა პენსიონერებმა: ისტორიკოსმა ალ. ელერდაშვილმა და პოეტმა გ.

გოდერძიშვილმა, მათ მადლობა გადაუხადეს ბავშვებს გაწეული გულისხმიერებისთვის და თანადგომისათვის. მე ვფიქრობ, მსგავსი საღამოები და აქციები მრავლად უნდა ტარდებოდეს ასეთი მოხუცებისათვის, რადგან „ჩვენც დავებრდებით“... დასასრულს, „სათნოების სახლის“ №2-ის მენეჯერმა დალი როსტომაშვილმა მადლობა გადაუხადა საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის დირექტორს ნელი ბალახაშვილს, მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელს მარინა ურდულაშვილს, ყველა მონაწილე ბავშვს მოხუცთა მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისათვის.

## თვცოკურით



სოფელ კრანსაგორკის ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძი წლებია ფიჭვის ხესაა შეხიზნული. ასე, რომ ბოძს თავისი თავი „თავადვე არ ეყუდნის“ და მონტორსაც ე.წ. „კოგტების“ გარეშე, ბუნებრივი კიბით შეუძლია სადენების შესაკეთებლად ბოძზე ასვლა.

## სურობით რას გვპირდება წელი ახალი — 2012?

**ეზრა ვერდის მიხედვით**

სჩანს, რომ მომავალი წელი იქნება შუათანა, ხორბლითა და სხვა რამით. ცხვარნი გამრავლდებიან, მაგრამ თევზნი შესუსტდებიან, შუათანა მოსავალი ზეთისა და თაფლისა. სამ დღიური და ორმოცდღიური სატკივრები. ამ წელს ნიადაგ სამხრეთის ქარი უბერავდეს. დასაწყისი ზამთრისა იყოს ქარიშხლიანი, შუა კაი დარი, დამლევს წყალდიდობა და ყინვები. გაზაფხული მსუბუქი და წვიმიანი; ზაფხულიც აგრეთვე სასიამოვნო იყოს, მხოლოდ ამგვარი სამშური ჰაერის გამო ხილველი წახდეს. შემოდგომით განჩნდეს ავადმყოფობა, მეტადრე ეჭვიან დედაკაცებში, აგრეთვე ხალხის ხოცვა. საეჭვოა, რომ სეტყვა და ჭირიანობაც განჩნდეს. ამ წელს განჩნდებიან ავაზაკნი, ესენი იქნებიან ურწმუნონი და შეუბრალებელნი.

### ოთარ გულაშვილი

მოვიდა, ძმაო, შენი დაბადების დღე — 7 თებერვალი. უშენოდ ტკივილიანი და ცრემლიანი 15 წელიწადი გაილევა. ვაი, იმ დებს, რომელი დებიც ერთ საფიცარ ძმას ვერ დაინახავენ, მის დაბადების დღეს ანთებული სანთლებითა და ცრემლებით შეხვდებიან. იმ ავბედითმა ტყვიამ ჩააქრო შენი დაუშრეტელი ახალგაზრდა სიცოცხლე. განა მარტო შენი, ჩვენიც ასევე მიდის წლები — უსიხარულოდ, ცრემლებით, და დარდით, ტკივილით, შენს მონატრებას შენს საფლავთან მოყვავართ, ტირილით გულს ვიჯერებთ, მაგრამ შენ ვერ გშველით. რაც დრო მიდის, მონატრება მით უფრო ღრმავდება და მოუშუშებელი ხდება. გეძებენ, ძმაო, შენი უბედური დების თვალები, რომ ვერ გპოულობთ, ახლა შენს შვილებსა და შვილიშვილებში შენს თვისებებს ვეძებთ. 9 შვილიშვილის პაპა გახდი მიწაში, როგორ გეტკივა გული შენს დებს, რომ შენი შვილები ვერც დაოჯახებულები ნახე და ვერც დააკალოიანე — მოხუცი მამის დარიგებით. თვითონ უპატრონეს ოთხივე შვილმა ერთმანეთს, უზომოდ სიკეთით სავსე შვილები გყავს, თვითონ შენც ხომ უზომოდ კეთილი და სიკეთის მფრქვეველი, ნათესავების მაგალითი იყავი. სიყვარულსაც

შენგან სწავლობდნენ და სიკეთის თესვა საც. მგონი, ძმაო, სულ გაქრა ყველაფერი. ყველა დილა ცრემლიანი თენდება და საღამო შენზე მოგონებით მთავრდება. ტყვილი ყოფილა სიკეთის თესვა, ძმაო, შენი გულის პატრონს ღმერთმა მრუდე გზა რატომ გარგუნა, და ჩვენს გულებში მოუშუშებელ ტკივილად დარჩი. შენ დაგაკარგეთ, მაგრამ შენ ორი დიდი ჯილდო დაგვიტოვე — დიდი სიყვარული და შენი შვილები. შენგან ნასწავლ სიყვარულს ჩვენს შვილებსაც ჩაუნერგავთ, შენს შვილებს კი არ უნდათ სწავლა — თვითონ კარგად იციან შენს შემდეგ ეს დიდი სიყვარული ვის უნდა გაუნაწილონ. არ დაგავიწყდეს ჩვენი ერთადერთი საფიცარო ძმაო, ცხოვრების თანამგზავრად გაგვიხადა შენი დარდი, შენთან მოსვლამდე, ერთად ვივლით შენზე ფიქრით და დარდით.



შენი დები

# „ნიონეინლა... პალატები მეფეთა...“

მეოთხე-მეხუთე გვერდებიდან

## ნიონეინლა და ნიონეინლელები

და პოეტი.

– ჩემი სოფლისა და ქართული ლექსის გულშემოტიკივარი ალბათ იმაზე მეტად ვარ, ვიდრე უნდა ვიყო, – გამიმხილა საუბარში. კარგია, რომ საქართველოში გვაქვს ფოლკლორული ცენტრი, მაგრამ თუ საგარეოვლებსაც გვექნება მსგავსი გაერთიანება, მგონი ყველაფერს ის აჯობებს, არა და რაიონში ბევრი ასეთი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია და ყველა თბილისში ვერ შეძლებს სიარულს.



სიტყვა რომ არ გამოვრქვედეს, შალვა ოკინაშვილი ის შემოქმედია, რომლის ლექსები თავისი ღირებულებით უსათუოდ იმსახურებენ დღის სინათლის ხილვას. ჯერჯერობით კი მისი 30 რჩეული ლექსია შესული ფოლკლორის ცენტრის მიერ გამოცემულ კრებულში. ლექსების გარდა მრავალმხრივი შემოქმედი არის 100 შესანიშნავი საბავშვო ლექს-გამოცანის ავტორი, რომელთაც ასევე გამოიმუხურება და ჩვენი პატარების სამსახურში ჩაყენება სჭირდება. რუსთაველის თეატრში დიდი ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავზე მის მიერ წაკითხული ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსი თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მოიწონა. თუ რატომ და რის გამო. ამის გარკვევას ქვემოთმოყვანილი მისი ლექსების სურნელიდან გაიგებს და დააჭაშნიკებს ქართული ლექსის მოყვარული მკითხველი.



21 წელია საგარეჯოს ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ჩინარის“ წევრია ნინოწმინდის საჯარო სკოლის საინფორმაციო ცენტრის მენე-

ჯერი, ინფორმაციის პედაგოგი მანანა კუმელაშვილი (სურათზე მარჯვნივ), ორი წელია ამავე ანსამბლის წევრია ნინოწმინდის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი თეონა გივიშვილი (სურათზე მარცხნივ) და ჯერ ერთი წელიც არაა, ანსამბლს ახალ თაობად შეემატა ქმანანას უფროსი ქალიშვილი, ნინოწმინდის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი დიანა კონიაშვილი (სურათზე შუაში).

### შალვა ოკინაშვილი ვაჟს 150 წლისთავზე

ასორმოდდაათ წლის წინათ თოფი გავარდა მთაშია, ერს მოველინა მგოსანი რაზიკაშვილთა გვარშია.  
ჩამოატარეს სასმისი, ძე დაულოცეს მამასა, ბუნება წელზე ირტყამდა ოქროს და ვერცხლის ქამარსა.  
იშმუშნებოდა ყმაწვილი, მადლი ეწვია კერასა, მისი მტრედივით დუღუნი გულში სწვდებოდა ყველასა.  
სამშობლოს პაერს სუნთქავდა გული და ფილტვი ცხრა თვისა, ღამაზი იყო, ფუმფულა, ვით ბელი მურა დათვისა.  
რასა უბნობდა ჩარგლულა სტუმრად ნაწვევი ჭაღასა? ქარი დაჭრილი ტახივით აშრიალედა ჩაღასა.  
იმდა ჩნდება ვაჟკაცი, გამზრდელს უხდიდეს დაღასა, მკერდს უმშვენებდეს ჭრილობა, ვითა ყაყაჩო ყანასა.  
თუ ჯაბანია მეცხვარე, ვერ გაუძღვება ფარასა, თავს მოიბურავს მანდილით, ჩამოუჯდება ჯარასა.  
უშიშრად უნდა გაუყვი თუ დაადეკი შარასა, მოეწონები დიაცსა, მკერდზე დაგაფენს დაღალსა.

მუხლი არ უნდა უჩვენო სოფლის ტრიალს და ვაღალსა, უწმაწურ ჭურჭელს ამსხვრევენ, აკოწიწებენ ალაღსა

ქვევრში ნადუდი მაჭარი არასდროს კარგავს ძაღასა, დათვრება, დააეწყდება დუხჭირი მაწანწაღასა.

სამშობლოვ, შენი სიტურფე ხელთ მადებინებს კალამსა, შენი მიწა-წყლის მონა ვარ, სხვაგან ვერ დავცემ კარავსა.

გმირსა, ოსტატსა, რაინდსა სახელს ვინ დაუმაღავსა? ვაჟკაცმა უნდა ბროლებით გზა გაუჩინოს ვარამსა.

ხარო, ფშაური ჯიშისავ, ბარიდან გიძღვნი საღამოსა, იქნება ჩამომაკითხო, ცეცხლზედ დაგიყრი წაღამსა.

იორ-ალაზნის პირებზე, აგიფრიალებ ალაღსა, ნაკურთხო უფლის კალთიდან, ღომო, მომდგარო ქარავსა.

### ნინოწმინდას

დედაბერივით დამცქერის ჩემი სოფელი, ხნიერი, შუბლს ნაოჭები უმშვენებს, სიბრძნისა დაკრავს იერი.

უხვად მოაჩენს სიტურფეს, არი ღომივით ძლიერი, ვადიდებ ნინოწმინდას, დედაა კანონიერი.

აქ ლეონიძემ ვარდივით ფურქნა თავისი ლექსები, აქედან დედასამშობლოს მომხიბვლევლობით ვითვრები.

ამ ორლობებს ვუმღერი, სულს ვითქვამ სოფლის შარაზე, გიჟივით შევევარებული, ვლოცულობ იერის ჭაღაზე.

შენ შემასწავლე ანბანი, სულიც შენ გამიღამაზე, როცა ვკვდებოდი სიცოცხლის წამალი შემომთავაზე.

ქართველთა ქრისტიანობა, ნინომან უფალს აცნობა, მტკიცე და უჭკნობელია ქრისტიანული დაძმობა.

დრომ ჩაიარა მრავალმა, იდინა ბევრმა დვარცოფმა, შენ ამალოკე მარილი, მისურვე კაი კაცობა.

მრავალმა გვეღმა მიკბინა, მრავალმა ძაღლმა დამცოფა, შენ მომიჩინე წელულები, შენ გამოვიღე დამწვრობა.

ლექსებთან ორომტრიალი, ესეც ხომ შენი ბრალია, ეს ფიქრებია ტიალი, თუ ნომარი ჯარია?!

ცხოვრებამ ჩემი ნერვებიც უღმობლად არივ-დარია. სიცოცხლის მამოძებელი, შენ დამიტირე მკვდარია.



### ბიორბი თამაზაშვილი უნდა დაერქვას გალაკტიონი

ჩემი სამშობლოს მთაც მიყვარს, ბარიც, მიყვარს არაგვი, მტკვარი, რიონი. პატარა, მაგრამ ღამაზი არის ბორბალის მთიდან რომ სჩქევს იორი. ზამთარ და ზაფხულ ყინულში მჯღარი მიყვარს ჭაღარა კავკასიონი.  
მიყვარს მთაწმინდის დამე და მთვარე, ვარსკვლავთა გუნდი, ვით მაყრიონი. პოეზიაში თუ არის რამე, უნდა დაერქვას გალაკტიონი!

რედაქტორი: თინათინ ილაური  
„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“  
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.  
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

